მწვანე ალტერნატივას კომენტარები და შენიშვნები

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. მოდეგას მიმდებარე ტერიტორიაზე 20701700 მ3 სასარგებლო წიაღისეულის (ვულკანური წიდის) მოპოვების პროექტის სკრინინგის განცხადებაზე

6 თებერვალი, 2020

მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39ბ, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 22 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

2020 წლის 3 თებერვალს ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სოფ. მოდეგას მიმდებარე ტერიტორიაზე 20701700 მ3 სასარგებლო წიაღისეულის (ვულკანური წიდის) მოპოვების პროექტის სკრინინგის გადაწყვეტილებისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

პროექტი უნდა დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას შემდეგი გარემოებების გამო:

1. კომენტირებისათვის გამოქვეყნებული წიაღის ეროვნული სააგენტოს სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილით[1] გათვალისწინებული ინფორმაცია. კერძოდ, არ არის მოცემული გადაწყვეტილების მიღებისათვის მთავარი მახასიათებლის - **შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ** ინფორმაცია.

სკრინინგის განცხადებაში მხოლოდ აღნიშნულია: „საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხემცენარეები. რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ **არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე**“.

---

[1] „4. საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა მოიცავდეს:
ა) მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;
ბ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ“.

ვინაიდან, წიაღის ეროვნული სააგენტოს განმარტებით, ამ ეტაპზე მათთვის უცნობია ზემოქმედების ხასიათის შესახებ ინფორმაცია, მნიშვნელოვანია ჩატარდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რომელიც სწორედ ამ ტიპის ინფორმაციის მოგროვებას, რისკების განსაზღვრას/შეფასებას და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვას ემსახურება.

2. სკრინინგის განცხადებაზე თანდართული გეოსაინფორმაციო პაკეტის თანახმად, ობიექტის ფართობი 551510 მ^2 (55,151ჰა)-ია; შესაბამისად, საქმიანობა შედის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის პირველი დანართით გათვალისწინებულ ჩამონათვალში (26. წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 25 ჰექტარზე მეტია) და კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.